სოციალური მუშაკის როლი საზოგადოებისთვის საშიში ინფექციური დაავადებების, მათ შორის ახალი კორონა ვირუსის მართვის პროცესში

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია

2020

13 მარტი, 2020 წელი,

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია

სოციალური მუშაკის როლი საზოგადოებისთვის საშიში ინფექციური დაავადებების, მათ შორის ახალი კორონა ვირუსის მართვის პროცესში

დადასტურებული COVID-19 შემთხვევების რაოდენობა მთელს მსოფლიოში, მათ შორის საქართველოშიც დღითიდღე იზრდება. 2020 წლის 13 მარტის მონაცემებით, საქართველოში შემთხვევების რაოდენობამ 25 შეადგინა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ (ჯანმო) ახალი კორონა ვირუსი გავრცელების ადრეულ სტადიაზე გლობალურ საფრთხედ გამოაცხადა. 11 მარტს კი, როდესაც ინფიცირებული ადამიანების რიცხვმა 120 ქვეყანაში 122,000-ს და გარდაცვლილთა რიცხვმა 4,400 მიაღწია, ჯანმო-მ კორონავირუსის აფეთქება პანდემიად გამოაცხადა. ქვეყნების მთავრობებთან ერთად, ჯანმო მუშაობს ვირუსის გავრცელების შეჩერებისა და რეაგირების სტრატეგიის შემუშავებასა და დანერგვაზე.

ახალი კორონავირუსით ინფიცირებული თითოეული ადამიანი წარმოადგენს ოჯახის, თემის, ქვეყნის განუყოფელ ნაწილს და ასევე გავლენას ახდენს ვირუსის მსოფლიო მასშტაბით გავრცელების დინამიკაზე. კორონა ვირუსი ხასიათდება მაღალი კონტაგიოზობით და ძირითადად გადაეცემა დაავადებულ ადამიანთან ახლო კონტაქტით წვეთოვანი გზით. COVID-19 (ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადება) იწვევს მწვავე რესპირატორულ დაავადებას და პნევმონიას. დაავადებით გამოწვეული სიკვდილობასთან დაკავშირებით ვრცელდება განსხვავებული ინფორმაცია. თუმცა, ჯანმო-ს მონაცემებით, მსოფლიო მასშტაბით ყველა ასაკობრივი ჯგუფის მონაცემების გასაშუალების შემდეგ COVID-19-ით გამოწვეული სიკვდილობა შეიძლება 3.4 % ჩაითვალოს.

კორონავირუსის გავრცელების პრევენციასა და პაციენტების მკურნალობაში ექიმებისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტების როლი განუზომელია და კარგად არის ცნობილი საზოგადოებისთვის. თუმცა ასევე საყურადღებოა ახალი კორონა ვირუსის, სხვა საზოგადოებისთვის საშიში ინფექციური დაავადებების მართვის და ზოგადად, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში სოციალური მუშაკების როლიც, როგორც საზოგადოების დახმარებაში, ასევე სამედიცინო პერსონალის მხარდაჭერასა და მათზე დაკისრებული უზარმაზარი ტვირთის შემსუბუქებაში.

ებოლას ვირუსით დაზიანებული დასავლეთ აფრიკის ქვეყნების ბოლოდროინდელი გამოცდილება, საზოგადოებისთვის საშიში ინფექციური დაავადებების გავრცელების პრევენციისა და დაავადების უარყოფითი სოციალური გავლენის შემცირებაში სოციალური

მუშაკების როლის კარგი ილუსტრაციაა. ამ ქვეყნებში სოციალური მუშაკები პასუხისმგებელნი იყვნენ მოწყვლად მოსახლეობაზე ზრუნვასა და მხარდაჭერაზე, მათ გაძლიერებასა და უფლებების ადვოკატირებაზე. აღსანიშნავია სოციალური მუშაკების გამოკვეთილი როლი მიკრო, მეზო და მაკრო დონეებზე მუშაობისას. კერძოდ:

მიკრო დონეზე - ქვეყანაში შექმნილი კრიზისის დროს კლიენტებისთვის (მაგ.მოწყვლადი ჯგუფის ბავშვებისთვის და ოჯახებისთვის, ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვებისთვის და ზრდასრული პირებისთვის) ისეთი მომსახურებების მიწოდება, როგორიცაა საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილებაზე ზრუნვა; ოჯახის წევრების ჰოსპიტალიზაციისა და გარდაცვალების დროს, მზრუნველის გარეშე დარჩენილი ბავშვებისთვის ალტერნატიული ზრუნვის უზუნველყოფა; ფსიქო-სოციალური საჭიროებების დაკმაყოფილება და მწუხარებასთან გამკლავებაში დახმარება; ჯანდაცვის მომსახურებების მიღებისას შექმნილი ბარიერების დაძლევაში ხელშეწყობა; ჰიგიენის წესებდა და დამცავი საშუალებების გამოყენებაზე თემის ინფორმირება და ა.შ.

მეზო დონეზე - ინფექციის და მისი პრევენციის შესახებ თემის განათლება და მობილიზება, რაც შესაძლებელია სოციალურ მუშაკების მიერ თემის მობილიზებისა და მათთან ნდობის დამყარების პროფესიული უნაების გამოყენებით; დაავადებასთან დაკავშირებული მითების გაქარწყლება; დაავადებულთა და მათი ოჯახის წევრების მიმართ სტიგმის შემცირება (განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც ცნობილია, რომ დაავადებული პირი სხვათა ინფიცირების წყარო გახდა); სახელმწიფო სტრუქტურებთან და მომსახურებების სხვა მიმწოდებლებთან ოჯახებისა დაკავშირება და მრავალი სხვა.

მაკრო დონეზე - დაავადების სოციალური შედეგების შესამცირებლად საჭირო პოლიტიკის, პროგრამების, მომსახურებებისა და მათი სტანდარტების შემუშავებაში მონაწილეობა.
საინტერესოა სოციალური მუშაკების როლი ებოლისა და შიდსის შედეგად დაობლებული ბავშვების დაცისა და მათთვის დამატებითი რისკების თავიდან არიდების საქმეში. გაეროს ბავშვთა ფონდის თანახმად, ბევრ ქვეყანაში (განსაკუთრებით კი აფრიკის კონტინენტზე), ამ დაავადებების შედეგად მარტო დარჩენილი ბავშვების დიდი რიცხვი დარჩა თავშესაფრის გარეშე, ვერ იკმაყოფილებდა განათლების, ჯანდაცვის და სხვა საბაზისო საჭიროებებს, იდგა ტრეფიკინგის გაზრდილი რისკის წინაშე. ბავშვების პრობლემებს ართულებდა ნათესავებისა და თემის შიში, მათგან სიცოცხლისთვის საშიში დაავადებების გადადების გამო. ჩამოყალიბებული სტიგმა განაპირობებდა ბავშვების იზოლირებას, ჩაგვრასა და მომსახურებებადმი

ხელმისაწვდომობის შემცირებას, რაც თავის მხრივ, ართულებდა ბავშვების მდგომარეობას და ზრდიდა ვირუსის გავრცელების რისკებს.

ჯანდაცვის, სოციალური მუშაკების და სოციალური მომსახურებების სხვა მუშაკების თავდაუზოგავმა შრომამ და ზემოთ ჩამოთვლილი ინტერვენციების სხვადასხვა ფორმით დანერგვამ, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა რისკის ქვეშ მყოფი ჯგუფების, განსაკუთრებით კი ბავშვების მდგომარეობის გაუმჯობესებაში.
ამერიკის შეერთებული შტატების სოციალურ მუშაკთა ასოციაციის თანახმად, ასევე სამხრეთ კორეელი სოციალური მუშაკების საქმიანობის მაგალითზე, უკვე გამოიკვეთა სოციალური მუშაკების მნიშვნელოვანი როლი ახალ კორონა ვირუსთან გამკლავების საქმეში. კორონა ვირუსის პანდემიას, ისევე როგორც სხვა საზოგადოებისთვის საშიში ინფექციური დაავადებების გავრცელებას, თან ახლავს პანიკა, შიში, სირცხვილის გრძნობა, ბრაზი, მწუხარება. საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში შექმნილი კრიზისის გარდა ადგილი აქვს გლობალურ ეკონომიკურ კრიზისს, შემოსავლის დაკარგვას, პროდუქტებითა და სხვა საჭირო ნივთებით მომარაგების შემცირებას, სკოლებისა და საბავშვო ბაღების დახურვას. სოციალური დაცვის სისტემის ფუნქციონირებასა და სოციალური მომსახურებების მიწოდებაში წარმოიქმნება სირთულეები (ან ადგილი აქვს ზოგიერთი მომსახურების სრულ შეწყვეტას), რაც კიდევ უფრო ართულებს ადამიანების მდგომარეოას.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში მოღვაწეობის ხანგრძლივი გამოცდილება, ასევე კორონა ვირუსთან ბრძოლის მოკლევადიანი გამოცდილება გვიჩვენებს სოციალურ მუშაკების მიერ კლიენტის შემდეგი ქმედებებით მხარდაჭერის მნიშვნელობას:
- შფოთვის დაძლევა. პანდემიის, ვირუსის ქცევის შესახებ ინფორმაციის სიმწირისა და მისი მაღალი კონტაგიოზობის გამო, მაღალია მოსახლეობის შფოთვა, ძილის დარღვევა, არსებული ფსიქიკური დაავადებების გართულების შემთხვევაბი და ა.შ. სოციალურ მუშაკებს ხშირ შემთხვევაში აქვთ საჭირო ცოდნა მსგავს მდგომარეობაში მყოფი კლიენტების დასახმარებლად და სტრესთან გამკლავების ჯანსაღი მეთოდების დასანერგად.
- კარანტინისთვის მომზადება. სკოლებისა და ბაღების დახურვის, თვითიზოლაციისა და კარანტინის აუცილებლობის ფონზე, მნიშვნელოვანია განსაკუთრებით მოწყვლადი ოჯახების დახმარება კარანტინისთვის საჭირო პროდუქტებისა და ფინანსური რესურსების მოძიებაში; ბავშვების შესაძლო რთული ქცევის პოზიტიურად მართვის მეთოდების სწავლება; ოჯახებისა და საზოგადოების დახმარება კარანტინის პირობებში ბავშვის განვითარების საჭიროებათა შესაბამისი აქტივობების მოფიქრებაში და ა.შ.

- ბავშვთა დაცვა. პასუხისმგებელ სახელმწიფო სტრუქტურებსა და მათ სოციალურ მუშაკებს უნდა ჰქონდეთ სააღმზრდელო დაწესებულებებში, მცირე ზომის საოჯახო სახლებში, მიმღებ ოჯახებში მცხოვრები ბავშვების კრიზისულ ვითარებში მონიტორირებისა და დახმარების ალტერნატიული გზები. ასევე მნიშვნელოვანია ამ ვითარებაში ძალადობისა და უგულვებელყოფისგან ბავშვთა დაცვის მექანიზმების შემუშავება.

ასევე, მომავალში ახალი კორონავირუსის ვაქცინაციის დანერვის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი შეიძლება გახდეს სოციალური მუშაკის როლი მოწყვლადი ხანდაზმულებისა და სხვა პირების იდენტიფიცირებასა და ვაქცინაციის სახელმწიფო პრგრამაში მათ ჩართვაში.
სოციალური მუშაკის ღირებულებებისა და ფუნქციებისა განხორციელების გარდა, მნიშვნელოვანია პანდემიის დროს სოციალური მუშაკების დაცვაზე ფიქრიც. საგულისხმოა, რომ სოციალური მუშაკები, მათი სამუშაოს ხასიათიდან გამომდინარე, თავად არიან ინფიცირების გაზრდილი რისკების წინაშე. სამხრეთ კორეაში სოციალური მუშაკების დიდი რიცხვის ინფიცირების გამო, საჭირო გახდა დაავადებული სოციალური მუშაკების საქმის გადანაწილება სხვა კოლეგებზე, რამაც გაამწვავა მათი გადაწვის რისკი. ასევე შეიქმნა სოციალური მომსახურებების მიწოდების მნიშვნელოვანი ვაკუუმი. განსაკუთრებით საგულისხმოა იმ სოციალური მუშაკების მდგომარეობა, რომლებიც მუშაობენ განსაკუთრებით მაღალი რისკის ჯგუფის კლიენტებთან - ხანდაზმულ ადამიანებთან. ხანდაზმულები, ერთი მხრივ დგანან ინფიცირებისა და გარდაცვალების გაზრდილი რისკის წინაშე, მეორე მხრივ კი, საგრძნობლად გაზრდილია მათთვის სოციალურ მუშაკის მხარდაჭერის საჭიროება.
შექმნილ ვითარებაში მნიშვნელოვანია სოციალური მომსახურებების ადმინისტრაციას და სოციალურ მუშაკებს ჰქონდეთ ვირუსისგან დაცვისა და გამკლავების სტრატეგიები.
<u>კერძოდ აუცილებელია</u>
- ჰიგიენური ნორმების დაცვა
- მომსახურების ჩვეულ რეჟიმში მიწოდების შეუძლებლობის შემთხვევაში, სარეზერვო გეგმის შემუშავება და პასუხისმგებელი პირის იდენტიფიცირება
- დაფინანსების მოსალოდნელი შემცირების გათვალისწინებით, საბაზისო საჭიროებებისთვის ალტერნატიული ფინანსური რესურსების მოზიდვის გეგმის დასახვა
- ტელეფონითა და ინტერნეტით გარკვეული მომსახურებების მიწოდების გეგმის შემუშავება და ა.შ.
გარდა ამისა, მნიშვნელოვანია სოციალურ მუშაკებს ჰქოდნეთ თვით-ზრუნვის სტატეგიები, როგორიცაა ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის შენარჩუნებაზე ზრუნვა, კოლეგებთან და სხვა მხარდაჭერის ჯგუფებთან რეგულარული კომუნიკაცია და ა.შ.
საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია გისურვებთ ჯანმრთელობას!

თქვენი მოსაზრებები იმის შესახებ, თუ რა შეუძლიათ გააკეთონ სოციალურმა მუშაკებმა ვირუსის დაძლევაში საზოგადოების დასახმარებლად და ადამიანების მდგომარეობის შესამსუბუქებლად, გაგვიზიარეთ საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის ფეისბუქ გვერდის ან შემდეგი ელექტორნული მისამართის გამოყენებით Orggasw@gmail.com

ნათია ფარცხალაძე, MD, MSW

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის დამფუძნებელი და გამგეობის წევრი